პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 12 აპრილი, 1952 წ. № 88 (9248). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

დედაქალაქის ბოლშევიკთა კონფერენცია — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მეცნიერ მუშაკთა საქმეები (მე-2 გვერდი).
კომუნისტები — წარმოების ნოვატორები (მე-2 გვერდი).
ბელადის სახელობის ძარხანა აღმავლობის გზაზე (მე-2 გვერდი).
თბილისის წყალსაცავი (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ (მე-3 გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია — **დეპუტატების ი. ს. დოლიძის და ვ. ვ. მირიჯანაშვილის სიტყვები** (მე-3 გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია — **დეპუტატების შ. ვ. დავითულიანის და ა. ა. ვასაძის სიტყვები** (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დედაქალაქის ბოლშევიკთა კონფერენცია

დღეს მუშაობას შეუდგება თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენცია. ერთი წელი და სამი თვე გავიდა თბილისის XX პარტიული კონფერენციიდან.

ეს პერიოდი ჩვენი ქვეყნისათვის ხასიათდება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში ახალ წარმატებათა მოპოვებით. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, მიაღწია სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის შემდგომ მძლავრ განვითარებს. ხორცს ისხამს ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული სტალინური გეგმა, წარმატებით ხორციელდება კომუნიზმის დიადი მშენებლობანი, ფართოვდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტის კანონი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრებულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო, ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებს . ჩვენი ქვეყნის ძალასა და სიმტკიცეს, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას.

განვლილი პერიოდი ხასიათდება მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და ბედნიერებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის გაძლიერებით. საბჭოთა კავშირი სათავეში უდგას მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს სტალინურ საგარეო სამშვიდობო პოლიტიკას, თავის გარშემო იკრებს მთელი მსოფლიოს კეთილ ნების მილიონობით ადამიანებს, წარმატებით ააშკარავებს ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების შავბნელ ზრახვებს, რომლებიც ცდილობენ კვლავ თავს დაატეხონ მსოფლიოს ახალი ხოცვა-ჟლეტა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახში ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების განსამტკიცებლად წარმატებით შრომობს ქართველი ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელნი. ამას მკაფიოდ ადასტურებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგებში მიღწეული წარმატებები.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა, გაძლიერეს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, უკეთესად სწვდებიან წარმოების ეკონომიკის საკითხებს, წარმატებით რაზმავენ მშრომელებს სახელმწიფო დავალებათა შესასრულებლად.

საანგარიშო პერიოდში დედაქალაქის მრეწველობამ გაადიდა პროდუქციის გამოშვება, უფრო გაუმჯობესა მისი ხარისხი. პარტიული ორგანიზაციები, საწარმოთა კოლექტივები ტექნოლოგიური პროცესების განუწყვეტელი გაუმჯობესებით, ახალი ტექნიკისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით, რეზერვების უკეთესად გამოყენებით ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას.

სამრეწველო საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა რენტაბელურად მუშაობს, აღწევს ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის დიდ ეკონომიას, სახელმწიფოს დიდ ზეგეგმითს მოგებას აძლევს. მთელი რიგი საწარმოები, კერძოდ სტალინის სახელობის ორთქლმავალმაგონშემკეთებელი, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, ზუსტი ხელსაწყოების ქარხნები, საორთქლმავლო და საელმავლო დეპოები, კამოლ-მაუდის ფაბრიკა და სხვები წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს და ღირსეულად დგანან რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში.

აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის მრეწველობამ მრავალი ახალი სახის პროდუქციის გამოშვება აითვისა, მთელი რიგი საწარმოები წარმატებით მუშაობენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების შესასრულებლად. თბილისის საწარმოებში ფართოდ არის გაჩაღებული მოძრაობა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და ნედლეულის ეკონომიისათვის. მთელმა რიგმა ბრიგადებმა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები ბრიგადების სახელწოდება მოიპოვეს.

წარმატებით გრძელდება მუშაობა საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის. მარტო გასულ წელს დამთავრდა 38 ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აიგო შესანიშნავი ხიდი მდინარე მტკვარზე, ყოფილ მეტეხის ციხესთან. გასულ წელს დაიწყო და მიმდინარეობს ძველი ხიდის ადგილზე ელბაქიძის ახალი ხიდის მშენებლობა. შარშან დამთავრდა თბილისის რკინიგზის სადგურთან გადასასვლელი საცალფეხო კეთილმოწყობილი ხიდის აგება. გაფართოვდა მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს სამუშაოები. მარტო შარშან მოიკირწყლა 95 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ქუჩები, ხოლო ასფალტი დაიგო 74.335 კვადრატულ მეტრ ქუჩებსა და მოედნებზე. გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი პარკი ვაკეში. გრძელდება დედაქალაქის გამწვანების სამუშაოები. შარშან ქალაქის ტერიტორიაზე დაირგო 218 ათასზე მეტი ხე და ბუჩქი.

განვლილი პერიოდის ერთ-ერთი სერიოზული მიღწევაა სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის დამთავრება. დაიწყო თბილისის წყალსაცავის ავსება ივრის წყლით, რაც დედაქალაქის შემდგომი განვითარების დიდ პერსპექტივას ქმნის.

დღითიდღე უმჯობესდება საბჭოთა ვაჭრობა და მოსახლეობის მომარაგება. გასულ წელს ქალაქში გაიხსნა 168 სავაჭრო მაღაზია და კიოსკი. გაფართოვდა საქონლობრუნვა, ამაღლდა დედაქალაქის მშრომელთა მყიდველობითი უნარი.

ყველა ეს მიღწევა მოპოვებულია პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებით. პარტიული ორგანიზაციები სრულყოფენ რა მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდებს, უზრუნველყოფენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურული ფრონტის მუშაკთა დარაზმვას პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესასრულებლად.

დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს შინაპარტიული მუშაობა, გაუმჯობესეს პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა. ისინი განიხილავენ პარტიული და სამეურნეო მუშაობის აქტუალურ საკითხებს, იღებენ კონკრეტულ დადგენილებებს და უზრუნველყოფენ მათს შესრულებას.

მიღწევები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში უზრუნველყო მთელი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომმა გაძლიერებამ. პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად მუშაობენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საკითხებზე. უკეთესად მოეწყო პარტიული სწავლება. წრეების, პოლიტსკოლების, აქტივის სემინარების უმეტესობა მაღალნაყოფიერად მუშაობს. პარტიული და უპარტიო კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი მარქსისტულ-ლენინურ თეორიას დამოუკიდებელი მუშაობის გზით ეუფლება. მარტო ბერიას რაიონში პარტიულ სწავლებაში 8.138 კომუნისტია ჩაბმული, მათ შორის 5.586 კომუნისტი დამოუკიდებლად მუშაობს. 540 კომუნისტი მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მეცადინეობს.

პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საკითხებს, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას. დედაქალაქის ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, წარმატებით ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს.

დედაქალაქის ბოლშევიკები თავიანთ XXI პარტიულ კონფერენციაზე სერიოზული წარმატებებით მოვიდნენ, მაგრამ თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობაში ჯერ კიდევ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ. ეს ნაკლოვანებანი გამიჟღავნდა თბილისის რაიონების პარტიულ კონფერენციებზე. ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. თბილისის ბოლშევიკთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება. თბილისში მოწინავე საწარმოთა გვერდით ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები. მაგალითად, სტალინის რაიონში 35 საწარმოდან გასული წლის გეგმა ვერ შეასრულა 4 საწარმომ, ხოლო ასორტიმენტის გეგმის შესრულების მხრივ ჩამორჩა 18 საწარმო. გეგმებს ვერ ასრულებენ სხვა რაიონების მთელი რიგი საწარმოებიც.

პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ სწვდება წარმოების ეკონომიკას, სათანადოდ ვერ იყენებს სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის თავის უფლებას. ყველაფერი რიგზე არ არის კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილების დარგში. ამით აიხსნება, რომ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე ზოგჯერ ხდება შეუფერებელი და უღირსი ადამიანების დაწინაურება. გაძლიერებას მოითხოვს მუშაობა საბჭოთა კანონიერების და სოციალისტური საკუთრების დასაცავად, მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის. პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ უფრო გულისხმიერად მოეკიდონ მშრომელთა სიგნალებს, ყურადღებით შეისწავლონ ისინი. უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი წინსვლის მძლავრი იარაღია. ამ ნაცადი მეთოდის მომარჯვებით თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა დროზე და დაუნდობლად უნდა ამხილონ სამეურნეო და პარტიულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და ყველა ზომა მიიღონ მათი გამოსწორებისათვის. დედაქალაქის შემდგომი კეთილმოწყობა, საქალაქო მეურნეობის განვითარება კვლავ უნდა იდგეს თბილისის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

განვლილ პერიოდში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, არსებულ ნაკლოვანებათა მტკიცედ გათვალისწინებით, XXI პარტიული კონფერენციის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებით თბილისის პარტიული ორგანიზაციები ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების, ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის მშრომელთა დარაზმვის საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

მოწინავე შახტი

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების პირველი კვარტალის საწარმოო დავალება. კვარტალური გეგმის გადამეტებით ამოღებულია ასობით ტონა სათბობი.

აპრილის პირველი დღეებიდანვე შახტის მოწინავე ადამიანები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და ახალ შრომითს საჩუქრებს ამზადებენ პირველი მაისის დღესასწაულისათვის. სტახანოველი მნგრეველი ვ. შელაშვილი დღიურ ნორმებს 150-160 პროცენტით ანაღდებს. მოწინავე მტვირთავი ა. არსენიძე ნაცვლად 10 ტონისა ყოველდღიურად 20 ტონა ქვანახშირს ტვირთავს. წარჩინებული გამყვანი კომკავშირელი ნ. მუშკუდიანი, რომელიც ახალი შტრეკის გაყვანაზე მუშაობს, დღეში ერთნახევარ ნორმას ასრულებს. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის სტახანოველი მეშახტეები ლ. გოჩელაშვილი, ფ. კრასიკოვი, ბ. ბოჭორიშვილი და სხვები.

დეპოელთა მიღწევები

ხაშური. (საკ. კორ.). საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა პირველ კვარტალში გარეცხვითი შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვა 9 ორთქლმავალი, ორთქლმავლების საერთო გარბენის დავალება შეასრულა 144,7 პროცენტით, თვითეული ორთქლმავლის საშუალო სადღეღამისო გარბენი გადაჭარბებულია ორი კილომეტრით, გაზრდილია აგრეთვე ტექნიკური სიჩქარე, აწევითი შეკეთებიდან გამოშვებულია ერთი ორთქლმავალი და მარტო იანვარ-თებერვალში დაზოგილია 10.201 მანეთი.

მატარებლების შეუფერხებელი ტარების, ტვირთზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და საწვავის ეკონომიის საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდნენ დეპოს უფროსი მემანქანეები გ. ცერცვაძე, ვ. გოგნაძე, ნ. ტუროვი, მემანქანეები დ. გერმანაშვილი, ა. სინეგუბოვი და სხვები.

გაიზარდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი

ჩოხატაური. (საკ. კორ.). 1945 წლამდე რაიონში არც ერთი მილიონერი კოლმეურნეობა არ ყოფილა. ჩაებნენ რა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში, რაიონის კოლმეურნეობებმა გაზარდეს ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ფართობები და მოსავლიანობა. რაიონის 41 კოლმეურნეობიდან ამჟამად 19 მილიონერია. ქვენობნის ვოროშილოვის, ფარცხმის სტალინის, განახლების ბერიას და ბუკისციხის კოლმეურნეობების შემოსავალი კი (თვითეულის) 2-4 მილიონ მანეთს აჭარბებს.

სოციალისტური შრომის გმირის პრანგვაცია

ლანჩხუთი. (სპეც. კორ.). ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის სოფელ აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სახელი გაითქვა იმ რგოლმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი შურა ჩხაიძე ხელმძღვანელობს. აგროწესების ზუსტად განხორციელებით აქ ყოველწლიურად ზრდიან ჩაის მოსავლიანობას.

შარშან რგოლის წევრებმა ისევ დაამუშავეს 3 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რომ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.000 კილოგრამისა 32.311,9 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ამ წარმატებისათვის რგოლის წევრებს ცრემლის სახით მიეცათ 58.712 მანეთი.

თვითონ მერგოლურმა შურა ჩხაიძემ 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 9.522 კილოგრამი ჩაი და ამით წლიურ საწარმოო გეგმას დიდად კადააჭარბა. ამხ. ჩხაიძემ მარტო პრემიის სახით მიიღო 24.836 მანეთი.

შურა ჩხაიძე მიღწეულით როდი კმაყოფილდება. მან რგოლის წევრებს შეასწავლა თავისი მდიდარი გამოცდილება. ამის შედეგად ლოლა ჩხაიძემ 0,45 ჰექტარზე მოიყვანა 5.214,4 კილოგრამი ჩაის ფოთოლი; ჩაის ასევე უხვი მოსავალი მიიღეს ევროსი და ვარვარა ჩხაიძეებმა.

ახლა სოციალისტური შრომის გმირი შურა ჩხაიძე ნაყოფიერად მუშაობს იმისათვის, რომ მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარზე ნაცვლად შარშან მიღებული 9.522 კილოგრამისა მოიყვანოს 15 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. იგი ჩაბმულია საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებას. დროზე დაამთავრა ჩაის ბუჩქების გასხვლა. პლანტაციაში საკმაო რაოდენობით შეიტანა სასუქი და ყოველმხრივ მომზადებული ხვდება ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს.

კოლმეურნეები მაღალნაყოფიერად შრომობენ

კასპი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეები საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე სტახანოვური შრომის ნიმუშებს იძლევიან, მტკიცე საფუძველს უყრიან უხვ მოსავალს. კარგად მუშაობს კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ვადაზე ადრე დაამთავრეს თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და შაქრის ჭარხლის თესვა. ფართოდ არის გამოყენებული მექანიზაცია და სასუქები. წარმატებით მოეწყო საშემოდგომო ხორბლეულის გამოკვება და დაფარცხვაც. ამ საქმეში დაწინაურდნენ მეორე და მესამე ბრიგადები.

ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ სოფელ ახალქალაქის, ალაიანის, მეტეხის, კავთისხევის კოლმეურნეობები. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს თესვა, ხვნა, ბაღ-ვენახების დამუშავება, არხების გაწმენდა და წესრიგში მოყვანა.

კოლმეურნეები

ჭალაკი. (საკ. კორ.). ... ...

რესპუბლიკის დედაქალაქის შემდგომი წინსვლისა და აყვავებისთვის

★

მეცნიერ მუშაკთა საქმეები

(საუბარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელ ბ. ძოწენიძესთან)

დიდი სტალინის გენიალურმა საენათმეცნიერო შრომებმა ახალი ამოცანები დააყენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების წინაშე. ამ ამოცანებზე მიგვითითა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის XX საქალაქო კონფერენციამ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მუშაობა და თვალსაჩინო შედეგებით ხვდება თბილისის ბოლშევიკების XXI კონფერენციას.

მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაამუშავა მონოგრაფიები ი. სტალინის საენათმეცნიერო შრომების საფუძველზე. მოკლე ხანში გამოვა ინსტიტუტის შრომების III ტომი, რომელიც მთლიანად მიძღვნილია ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომებიდან გამომდინარე ამოცანების გადაწყვეტისადმი.

ინსტიტუტში გაძლიერდა მუშაობა ქართული საერთო-ეროვნული სალიტერატურო ენის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტმა 1951 წელს მოაწყო დიალექტოლოგიური ექსპედიცია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ცოცხალი ხალხური სალაპარაკო ენია საფუძვლიანად შესწავლისათვის. ასეთი ექსპედიცია განზრახულია მოეწყოს მომდინარე წელსაც.

ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია განათლების სამინისტროს საშუალო სკოლისათვის ქართული ენის პროგრამის დამუშავებისა და სახელმძღვანელოთა რედაქტირების საქმეში. ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილება ამზადებს ტექნიკურ ლექსიკონს, რომელიც წელს გადაეცემა დასაბეჭდად.

ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს მეცნიერებათა აკადემიაში ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოსაცემად.

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა შარშან დაამუშავა თემები: ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები ენათმეცნიერების სტალინური მოძღვრების მიხედვით, ი. სტალინის ადრინდელი ნაშრომები როგორც ქართული ლიტერატურული სტილის ნიმუშები, ვაჟა-ფშაველას იდეური და ენობრივი პოზიცია ი. სტალინის ენათმეცნიერული შრომების მიხედვით, ი. ჭავჭავაძე — ახალი ქართული მხატვრული პროზის შემქმნელი და სხვ. ყველა ეს გამოკვლევა წაკითხული და განხილულია საჯარო სხდომებსა და სამეცნიერო სესიებზე.

აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთა თანამეგობრობის გაძლიერების შედეგად უკანასკნელ დროს შეიქმნა მთელი რიგი მეცნიერული შრომები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. დიდი ნაწილი ამ მეცნიერული შრომებისა უკვე დანერგილია წარმოებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მიერ ჭიათურის მადნის გამოყენების საკითხის შესწავლა და მისი დანერგვა მეტალურგიულ წარმოებაში.

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებს ნაყოფიერ დახმარებას უწევს სამშენებლო საქმის ინსტიტუტი. ინსტიტუტის დახმარებით გაფართოვდა რესპუბლიკის სამშენებლო ობიექტებზე შემსუბუქებული კონსტრუქციების გამოყენება, რითაც მიღწეულია დეფიციტური საშენი მასალებისა და ფულადი სახსრების ეკონომია. აკადემიის გეოფიზიკისა და ნიადაგთმცოდნეობის ინსტიტუტებმა დიდი დახმარება გაუწიეს სამგორის მშენებლებს.

ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლი, რომლის აღმოფხვრა დედაქალაქის სამეცნიერო ძალების გადაუდებელი ამოცანაა. დედაქალაქის მეცნიერ მუშაკები წარმატებით შეასრულებენ პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასმულ პასუხსაგებ ამოცანებს, განავითარებენ და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანენ საბჭოთა მეცნიერებას.

თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები (მარცხნიდან — მარჯვნივ): თამარ მოველიძე — სტალინის სახელობის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის სტახანოველი, ალექსი ზაკომოლდინი — 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ოსტატი, არტემ ბენდიანიშვილი — კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ზეინკალი, გიორგი ჩოტორიშვილი — ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ სტახანოველი, პავლე ზუბრიცკი — კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ხარატი, ვასილ კორძაძე — 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მჭედელი, შალვა ომანიძე — ორჯონიკიძის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ზეინკალი. ფოტო რ. აკოფოვისა

კომუნისტები—წარმოების ნოვატორები

ოსტატის თანაშემწე გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს მახეანების რიტმულ მოძრაობას, თითისტრების ციბრუტივით ტრიალს, მრთველი მუშების ბეჯითი შრომას. სახეზე კმაყოფილებასთან ერთად სერიოზული ჩაფიქრება ეხატებოდა.

— ამხანაგო კარლო! ვატყობ, ნასყიდა ხარიტონაშვილის სიტყვას თქვენზე ძლიერ უმოქმედნია.

ოსტატის თანაშემწე შეიშმუშნა, სტახანოველ მრთველს ნადეკდა ზარეულს შეხედა, ალერსიანად გაულიმა.

— სწორედ გამოიცანით! ნასყიდამ დიდი საკითხი დააყენა. უნდა ვაღიარო, ამაზე წინათაც ბევრი მიფიქრია, მაგრამ გუშინს შემდეგ ძალად შემიპყრო, წუთითაც კი არ მშორდება გონებიდან. შარშან ჩვენმა ფაბრიკამ კარგად იმუშავა, შესანიშნავი წარმატება მოიპოვა, 88,8 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება ხუმრობა როდია. მაგრამ, ნასყიდას თქმის არ იყოს, ეს არ კმარა, უფრო უკეთესად მუშაობაც შეიძლება. ჩვენი მოწინავე მრთველის ვარდო ჯოხაძის მაგალითი ადასტურებს, რომ ყველა მუშას, ვინც საქმეს საფუძვლიანად დაეუფლება და ბეჯითად, მონდომებით იმუშავებს, შეუძლია მხოლოდ პირველი ხარისხის ნართი დააწაროს.

— მარიამ კოლოდას მაგალითი კი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილი მოქსოვოს, — დაუმატა თავის მხრივ ნადეჟდამ.

— დიახ, მეც ეს მინდოდა მეთქვა. თუ ვარდო ჯოხაძემ და მარიამ კოლოდამ, აგრეთვე ცალკეულმა მოწინავე მუშებმა შეძლეს დაამზადონ მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია, რატომ არ შეიძლება ეს გააკეთოს ყველა მუშამ, ყოველ შემთხვევაში მუშების დიდმა უმეტესობამ? მთავარია მონდომება და მუშაობის ისე წარმართვა, რომ მოწინავეთა შრომითი გამოცდილება ყველა მუშის კუთვნილება გახდეთ. ამ საქმეში თაოსნობა ჩვენ, კომუნისტებმა უნდა გამოვიჩინოთ. მარიამ კოლოდას და ვარდო ჯოხაძის გამოცდილების მიხედვით ფაბრიკაში ფართოდ უნდა გაეაზოოთ სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

ამ საუბრის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ წარმოების ნოვატორების, კომუნისტ ნასყიდა ხარიტონაშვილის, კარლო ანდღულაძის, კომკავშირელ ვარდო ჯოხაძისა და მარიამ კოლოდას თაოსნობით თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის. ამ შესანიშნავმა თაოსნობამ მალე გამოიღო თავისი შედეგი. ფაბრიკაში სწრაფად გაიზარდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამომშვებ მუშათა რიცხვი. ამჟამად მარტო საქსოვ საამქროში 36 მოწინავე მქსოველი მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებამ ფაბრიკაში 94 პროცენტს მიაღწია.

ამ შესანიშნავი შეჯიბრების პირველ რიგებში თვით ინიციატორები არიან. სართავმა კომპლექტმა, რომელსაც კარლო ანდღულაძე ხელმძღვანელობს, 99,6 პროცენტამდე აიყვანა პირველი ხარისხის ნართის გამოშვება, ამასთან პირველ კვარტალში 700 კილოგრამი მატყული დაზოგა. საქსოვმა კომპლექტმა ნასყიდა ხარიტონაშვილის ხელმძღვანელობით მარტში ეგზემით გათვალისწინებული 82 პროცენტის ნაცვლად 96 პროცენტი პირველი ხარისხის ხამი ქსოვილი მოქსოვა, ამასთანავე საგრძნობლად შეამცირა მოწყობილობის მოცდენა და აამაღლა მისი წარმადობა.

ფაბრიკის კომუნისტები ღირსეულად ასრულებენ ავანგარდულ როლს. წარმოებაში მომუშავე 164 კომუნისტიდან 141 სტახანოველია. მრთველი მუშები — კომუნისტები ქ. ბარამიძე, მ. მარგველაშვილი, ნ. სულაბერიძე მაღალნაყოფიერად შრომობენ, საუკეთესო ხარისხის ნართს ამზადებენ, გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ და ნედლეულის დაზოგვით საშობლოს მნიშვნელოვან ეკონომიას აძლევენ. ძაფის მგრეხავი თ. მეტრეველი, მქსოველი ნ. პონომარენკო მთლიანად პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ და დღიურ დავალებებს 20-25 პროცენტის გადაჭარბებით ანაღდებენ.

ფაბრიკაში ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის გავრცელებისა და დანერგვის მოთავეები კომუნისტები არიან. კომუნისტი ქსენია ბარამიძე გიორგი ახალაკაცთან ერთად პირველი გამოეხმაურა მარიამ ორჯონიკიძისა და ლიდია კონონენკოს პატრიოტულ თაოსნობას, პირველი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში ნედლეულის კომპლექსური ეკონომიისათვის. მათს მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და ნედლეულის ეკონომიისათვის მოძრაობამ ფაბრიკაში ფართო გაქანება მიიღო. ამის შედეგად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, გაიზარდა დანაზოგი ნედლეულიდან ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება. მარტო შარშან ფაბრიკის კოლექტივმა 89 ტონა ნედლეული დაზოგა.

ამჟამად ფაბრიკაში ფართოდ ვრცელდება ახალი პატრიოტული მოძრაობა საწარმოო მოწყობილობის, დაზგა-დანადგარის შეკეთებათაშორისი მუშაობის ხანგრძლივობის გასადიდებლად. ამ მოძრაობის ინიციატორია კომუნისტი ნასყიდა ხარიტონაშვილი.

დიდი, ახალი გრძნობა ჩანს კომუნისტების ყოველდღიურ საქმიანობაში. ისინი ზრუნავენ ახალი კადრების აღსაზრდელად, წარმოებაში შრომის გაუმჯობესებული, რაციონალური ხერხების დასანერგავად, რაციონალიზაციის და გამომგონებლობის განსავითარებლად, წარმოების ყველა მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად, სახელმწიფო საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მ. არუშიძე



ბრძოლა ... ბოლოთევა

თბილისის წყალსაცავი

სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის გახსნა და თბილისის წყალსაცავის ავსების დაწყება, რაც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქისა და მთელი საქართველოს მშრომელებმა 1951 წლის 4 ნოემბერს სამგორში უმაგალითო სახალხო ზეიმით აღნიშნეს, ახალი თბილისის ისტორიაში უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მოვლენა იყო. ნახევრადგაუდაბნოებული სამგორის ველის გარდაქმნას, მის აყვავებას და ბაღნარებად გადაქცევას უშუალო გავლენა და კავშირი აქვს თბილისის შემდგომი ზრდისა და კეთილმოწყობის საქმესთან.

ივრის წყალი რადიკალურად გარდაქმნის სამგორის ველის ბუნებას და, გარდა იმისა, რომ ამ სივრცეებს გადააქცევს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ბოსტნეულითა და ხილით დედაქალაქის მომარაგების მძლავრ ბაზად, დაამშვენებს თბილისის მისადგომებს, აყვავებული ბაღნარებით შემოსავს მის ახლანდელ შიშველ გარემოს.

თბილისის წყალსაცავი თბილისს განვითარების დიდ პერსპექტივას აძლევს. საკმარისია აღინიშნოს, რომ წყალსაცავის ავსების შედეგად შეიქმნება ავჭალიდან ნავთლუღის ბოლომდე ქალაქის ირგვლივ მწვანე ნარგავთა დიდი მასივების გაშენების შესაძლებლობა, ვინაიდან ეს ადგილები მოირწყვება და მწვანე ნარგავთა გახარება და სწრაფი ზრდა უზრუნველყოფილი იქნება. ეგრეთწოდებულ ხუდადოვის „ტყეს“ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ ამ „ტყის“ ტერიტორია მოურწყავია, ტყე აქ ვერ განვითარდა. მას შემდეგ, რაც თბილისის წყალსაცავიდან ავჭალისა და მახათას სერისაკენ სარწყავი ქსელი მზად იქნება (ამ ქსელის მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს), მწვანე ნარგავთა მასივები სწრაფად განვითარდება, ტყე უფრო მეტად დაამშვენებს ქალაქს.

თბილისის წყალსაცავს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის აგრეთვე როგორც ტექნიკური წყლის მისაღებ უახლოეს წყაროს. ცნობილია, რომ ჩვენი დედაქალაქის მზარდი ინდუსტრია დიდი რაოდენობით მოითხოვს ე. წ. ტექნიკურ წყალს, რომლის გამონახვის საკითხიც ამ უკანასკნელ წლებში მეტად აქტუალური გახდა. სამრეწველო საწარმოების წყლით მომარაგების სისტემის შექმნა, ამ დანიშნულებისათვის თბილისის წყალსაცავიდან წყლის მიღება იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქის მოთხოვნილება სასმელ წყალზე დიდად შემსუბუქდება.

თბილისის წყალსაცავს უაღრესად კეთილმყოფელი გავლენა ექნება ჩვენი დედაქალაქის ჰავაზეც. წყალი ტემპერატურის საუკეთესო კონდენსატორად ითვლება. წყლის ისეთი დიდი მარაგის არსებობით, როგორიც თბილისის „ზღვაში“ იქნება, ინტენსიური აორთქლების შედეგად შერბილდება ზაფხულობით თბილისისათვის ჩვეული პაპანაქება და ზამთრობით ცივი სუსხი.

უკვე მეექვსე თვეა მცირე გომბორის ერთ-ერთ კალთასა და მახათას სერს შორის კალაპოტში ზღვად გროვდება სამგორის ზემო მაგისტრალური არხით მონადენი ივრის წყალი. წყალსაცავი იზრდება, ფართოვდება, ამკობს თბილისის მიდამოს.

თბილისის წყალსაცავი ყოველდღე, განსაკუთრებით დასასვენებელ დღეებში ქალაქიდან აუარებელ მშრომელს იზიდავს. მალე წყალსაცავი გადაიქცევა თბილელთა საყვარელ წყალსასპორტო ადგილად, რომელიც სათანადო კეთილმოწყობისა და გამშვენიერების შემდეგ ჩვენი დედაქალაქის უახლოესი საუკეთესო საკურორტო და დასასვენებელი ადგილი იქნება.

ა. ყიფშიძე

სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის მთავარი ინჟინერი

ბელადის სახელობის ქარხანა აღმავლობის გზაზე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა ერთ-ერთი უძველესი საწარმოა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ქარხნის ისტორია განუყოფელად დაკავშირებულია საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორიასთან, ხალხთა ბელადის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის სახელთან.

რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილმა ჩვენი ქარხნის კოლექტივმა თბილისის საქალაქო მე-19 და მე-20 პარტიულ კონფერენციებზე მის მიმართ კრიტიკის საფუძველზე სერიოზული დასკვნები გააკეთა.

ქარხნის ხელმძღვანელობამ საამქროთა და განყოფილებათა წარმომადგენლებთან ერთად მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი დასახა და გადამწყვეტი ზომები მიიღო მუშაობაში მათი პრაქტიკულად დანერგვისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელებაში სერიოზული დახმარება გაგვიწია პარტიული, პროფესიული და კომკავშირული მუშაობის ახლებურად წარმართვამ, ქარხნის კოლექტივის მობილიზაციამ მის წინაშე დასახული ამოცანების ბოლშევიკური გადაჭრისათვის. ამან საშუალება მოგვცა 1951 წლის დასაწყისიდანვე სისტემატურად შეგვესრულებინა ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთების სახელმწიფო გეგმა, უზრუნველგვეყო რკინიგზა გეგმით გათვალისწინებული მოძრავი შემადგენლობით და სათადარიგო ნაწილებით. ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების გასული წლის დავალება 106,5 პროცენტით შეასრულა, 14,9 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება და საგრძნობლად შეამცირა თვითღირებულება. მაღალნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს ქარხნის კოლექტივი მიმდინარე წელსაც. როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის პირველი კვარტალის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა.

კოლექტივის მუშაობის გაუმჯობესება შედეგია არა მარტო განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებისა, არამედ იმისიც, რომ წარმოების ხელმძღვანელებმა და მუშებმა უფრო სერიოზული დამოკიდებულება გამოიჩინეს მათთვის მიცემულ დავალებათა შესრულებისადმი, გაიზარდა ბრძოლა სიძნელეთა გადალახვისათვის, რომელიც თავს იჩენდა წარმოების პროცესში, გაიზარდა მომთხოვნელობა როგორც საკუთარი თავისადმი, ისე მინდობილი საქმის შესრულებისადმი. სერიოზულ წარმატებებს აღწევენ ამ მხრივ ორთქლმავლების ამწყობი, საქვაბე, სამგზავრო ვაგონების შემკეთებელი და დამამზადებელი საამქროები.

საწარმოო განყოფილება უნარიანად ხელმძღვანელობს ქარხანაში ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვის საქმეს. პრაქტიკაში დაინერგა მოძრავი შემადგენლობის ძირითადი კვანძების შეკეთების სადღეღამისო ოპერატიული გრაფიკები, სერიოზული ყურადღება ექცევა ოპერატიულ კონტროლს აღნიშნული გრაფიკების შესრულებისადმი.

ახალი სამეურნეო წლიდან ქარხანაში დაინერგა სელექტორული კავშირი ქარხნის ყველა საამქროსა და განყოფილებას შორის. ეს დიდად ეხმარება ქარხნის კოლექტივს გამოავლინოს ხელისშემშლელი მიზეზები ყოველდღიურ მუშაობაში და ოპერატიულად აწარმოოს აღნიშნულ მიზეზთა ლიკვიდაცია.

წარმოების ცალკეული უბნებისა და მთლიანად ქარხნის მუშაობის აღმავლობაზე მცირე გავლენა როდი მოახდინა სტახანოველთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საწარმოო ინიციატივისა და შემოქმედების ზრდამ. ქარხნის ძალებით გაკეთდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ორთქლმავლის გოგორწყვილების თითებისა და ლილვის ყელის მომშანდაკებელი დაზგები, რითაც მთლიანად ლიკვიდირებულია ორთქლმავლის საცდელი გადარბენის დროს ღერძკოლოფის და რვილის საკისრების გახურებისა და გადაწვის შემთხვევები. დავამზადეთ და საექსპლოატაციოდ გადაეცით აგრეთვე წნეხები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ცივად დავწნეხოთ კვამლსადენი და საცეცხლე მილების ბოლოები. ამან ის შედეგი მოგვცა, რომ თუ წინათ ორთქლმავლის თვითეულ ქვაბზე წუნდებული იყო 30-35 ცალი მილი, ახლა წუნი მინიმუმამდე დავიყვანეთ, ამასთან ვაღწევთ საწვავის დიდი რაოდენობის ეკონომიას.

ქარხნის სამსხმელო საამქროში ფართოდ არის გამოყენებული დეტალების ჩამოსხმა ლითონის ყალიბებში. ლითონმსხმელები ამჟამად საორთქლმავლო და სავაგონო დეტალების 65 პროცენტს ლითონის ყალიბებში ასხამენ. ლითონის ყალიბების მასობრივად გამოყენებამ გააუმჯობესა სხმულის ხარისხი, მისცა მას უფრო მკვრივი სტრუქტურა, საგრძნობლად შეამცირა წუნის შემთხვევები და საშუალება მოგვცა დავზოგოთ ფერადი ლითონი. აქვე დანერგილია მთელი რიგი დეტალების ჩამოსხმა მუდმივ და ნახევრად მუდმივ ყალიბებში. დამზადებული და ამუშავებულია ორი ცენტრიდანული მანქანა მკვეთარის დოლურის რგოლებისა და მკვეთარის მილსაყების ჩამოსასხმელად. ამ ღონისძიებათა განხორციელებით საამქრომ შარშან 9 თვეში შეასრულა წლიური გეგმა, მეოთხე კვარტალში იმუშავა 1952 წლის ანგარიშში, დაზოგა 384 ტონა შავი და 38 ტონა ფერადი ლითონი, მიიღო 82.500 მანეთი ეკონომია.

წლების მანძილზე სახარატო-მექანიკური საამქრო ჩამორჩებოდა. საამქროს ახალი ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციის ქმედითი დახმარებით (მდივანი მოწინავე ხარატი-ნოვატორი ი. ჭუმბურიძე) უნარიანად წარმართავს საამქროს კოლექტივის მუშაობას. დაინერგა ლითონის ჩქაროსნული ჭრა, მოგვარდა ტექნიკური დოკუმენტაციით მუშების დროულად მომარაგების საქმე. ჩქაროსანი ხარატები: ა. მარგველაშვილი, ა. ერმოლენკო, ნ. გავრიკოვი, მღარაია ს. პაპინაშვილი, ლითდნმტეხი გ. ბახვთიშვილი დღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ და მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ. ამ საამქროში საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდა ინჟინრის, საამქროს ტექნოლოგ რ. მაღრაძის ინიციატივას — შეიქმნა მუშა-რაციონალიზატორთა კომპლექსური ბრიგადა, გაჩაღდა შეჯიბრება საწარმოო მოწყობილობის შემდგომი ტექნიკური სრულყოფისათვის. ამ ბრიგადის მაგალითს ქარხნის დანარჩენი საამქროებიც ბაძავენ.

ჩვენი ქარხანა ლითონის ერთ-ერთი დიდი მომხმარებელია. ცხადია, ლითონის ეკონომიურად ხარჯვის საქმეში ქარხნის წინაშე გადაუდებელი ამოცანებია დასახული.

სამჭედლო საამქროში გაჩაღდა ბრძოლა ნაჭედ ლითონზე ნამეტის შესამცირებლად და თავისუფალი ჭედვიდან დატვირთვაზე გადასასვლელად. ფართოდ არის დანერგილი აგრეთვე საწარმოო ნარჩენების გამოყენება. ამ ღონისძიებათა ეფექტიანობას მოწმობს ის ფაქტი, რომ მარტო წელს იანვარში მჭედლებმა 12 ტონა ლითონი და 3 ტონა საწვავი დაზოგეს. უკეთეს შედეგს მიაღწიეს თებერვალსა და მარტში.

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდა ნოვატორების ინიციატივამ თვითეულ ნაწარმზე ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაწლის საქმეში ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქარხნის ახალგაზრდობაშიც. ქარხანაში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა რაციონალიზატორთა საბჭო, სადაც გაერთიანებული არიან ახალგაზრდა ინჟინრები რ. მაღრაძე, ო. ცანავა, შ. არუთინოვი, მჭედელი მ. ვაშაკიძე და სხვები. ამ საბჭოს ხელშეწყობით და დახმარებით წარმოების რაციონალიზატორებმა ნ. ბელავცევმა, გ. ვაშაკიძემ, ო. ცანავამ, ბ. თათარაშვილმა, ს. შირინინამ, აგრეთვე გ. დოლიძის და ი. სარსევანიძის ზეინკალთა ბრიგადებმა დიდი მუშობა გასწიეს ლითონის ეკონომიისათვის. ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლას მიეძღვნა აგრეთვე ახალგაზრდობის საქარხნო კონფერენცია, რომელიც მარტში მოეწყო. ამ კონფერენციის შემდეგ ქარხნის ახალგაზრდობამ მეტი ენერგიითა და მონდომებით მოჰკიდა ხელი ლითონის ხარჯვის შემცირების ამოცანის შესრულებას.

ქარხანაში ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი წარმოების ტექნიკური და ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. საქარხნო ლაბორატორიის ხელმძღვანელმა პროფესორმა პ. პეტროსიანმა ზესალი თუჯის მისაღებად ლიგატურის დამზადების ორიგინალური მეთოდი შეიმუშავა. დამუშავებულ იქნა ზესალი თუჯისაგან ორთქლმავლის დეტალების დამზადების ტექნოლოგია. ზესალი თუჯისაგან დამზადებული დეტალები უკვე დაყენებულია მრავალ ორთქლმავალზე და წარმოებს მათი გამოცდა საწარმოო პირობებში.

ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითმა თანამეგობრობამ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის მეცნიერმა მუშაკებმა ამხ. ფაცურიამ, შანიძემ, გულოიანმა და სხვებმა საფუძვლიანად შეისწავლეს და დაამუშავეს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების საკითხი.

დიდი მუშაობა განახორციელა ქარხანაში ამავე ინსტიტუტის ფიზიკის კათედრამ დოცენტ ა. ავაქოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც ქარხნის ინჟინრების ბ. ჩლაიძის, გ. სიმონიანის და სხვათა თანამონაწილეობით დაამუშავა ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდი. ამჟამად ჩქაროსნული მეთოდით მუშავდება ორთქლმავლისა და ვაგონის 250-ზე მეტი დეტალი.

შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა და წარმოებაში შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა, რასაც ქარხნის საამქროებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ქარხანაში დანერგილია ლიუბლინელი ხარატების, სტალინური პრემიის ლაურეატების ტ. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას მუშაობის მეთოდი და გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება თვითეული საწარმოო ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 6 გარდამავალი დროშა. სერიოზული ყურადღება ექცევა აგრეთვე ცნობილი ნოვატორის ა. ჩუტკიხის მეთოდით მუშობას. ამ მეთოდით მომუშავე სტახანოველებმა იმდენად გააუმჯობესეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, რომ მათ მაღალხარისხოვანი პროდუქციის მკეთებელი ოსტატის წოდება მიეკუთვნათ. ა. ჩუტკიხის მეთოდით ქარხანაში 164 კაცი მუშაობს. მათგან მაღალხარისხოვანი პროდუქციის მკეთებლის წოდება 103 მუშამ მიიღო.

დიდი ყურადღება ეთმობა რაციონალიზაცია-გამომგონებლობის საქმეს. შარშან წარმოებაში დაინერგა 96 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც წელიწადში 331.605 მანეთი ეკონომია მოგვცა.

მოპოვებულ წარმატებებთან ერთად ქარხნის კოლექტივს მუშაობაში აქვს ნაკლოვანებანიც. მიუხედავად იმისა, რომ შიდასაქარხნო წუნი საგრძნობლად შემცირდა, წუნის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი. არის მოძრავ შემადგენლობათა შეკეთების გახანგრძლივების, შეკეთების დაწესებული ვადების დარღვევის შემთხვევები, რაც იწვევს საწვავი მასალის გადახარჯვას და მუშახელის დაბანდებას. სატვირთო-სავაგონო, სამჭედლო, ორთქლმავლების დამშლელ და სხვა საამქროებში ვერ ასრულებენ სადღეღამისო დავალებებს. წარმოების ცალკეულ უბნებზე ვხვდებით საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, საამქროთა ცალკეული ხელმძღვანელები სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ წარმოების ეკონომიურ საკითხებს, რის გამო არის დანაკარგები.

გასული წლისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგები ცხადყოფს, რომ ბელადის სახელობის ქარხნის კოლექტივი მტკიცედ დაადგა სახელმწიფო დავალებათა შესრულების გზას და აუმჯობესებს წარმოებას. ქარხნის მუშაობის გაუმჯობესებაში ქმედითს დახმარებას გვიწევენ ქარხნის პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ეჭვი არ არის, რომ ქარხნის კოლექტივი წარმატებით გადალახავს მის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ სიძნელეებს და უფრო უკეთესი საწარმოო წარმატებებით დაამთავრებს 1952 სამეურნეო წელს.

დ. მამაცაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის უფროსი

საბჭოთა მთავრობის ნოტები

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

ა. წ. 25 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ბ-ნმა კამინგმა, დიდ ბრიტანეთის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ბ-ნმა გრეიმ და საფრანგეთის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ბ-ნმა ბრიონვალმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ი. ვიშინსკის გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ანალოგიური ნოტები — პასუხი საბჭოთა მთავრობის ა. წ. 10 მარტის ნოტაზე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

ა. წ. 9 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო საფრანგეთის ელჩი ბ-ნი შატენო, ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი კამინგი და დიდი ბრიტანეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი გრეი და გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის პასუხი ნოტები.

ქვემოთ ქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1952 წლის 25 მარტის ნოტის ტექსტი და საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 9 აპრილის საპასუხო ნოტის ტექსტი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1952 წლის 25 მარტის ნოტა

„ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითი რწმუნებული გამოთქვამს პატივისცემას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი და, თავისი მთავრობის დავალებით, პატივი აქვს განაცხადოს შემდეგი:

შეერთებული შტატების მთავრობამ შეერთებული სამეფოს და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად უაღრესად გულდასმით შეისწავლა საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 10 მარტის ნოტა, რომელშიც წამოყენებულია წინადადება დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. იგი მოეთათბირა აგრეთვე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას და ბერლინის წარმომადგენლებს.

სამართლიანი და ხანგრძლივი საზავო ხელშეკრულების დადება, რომელიც ბოლოს მოუღებდა გერმანიის გათიშვას, მუდამ იყო და არის შეერთებული შტატების მთავრობის უმნიშვნელოვანესი მიზანი. როგორც თვით საბჭოთა მთავრობა აღიარებს, ასეთი ხელშეკრულების დადებისათვის საჭიროა შეიქმნას სრულიად გერმანიის მთავრობა, რომელიც გამოხატავს გერმანელი ხალხის ნებას.

ასეთი მთავრობა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მოიწყოს თავისუფალი არჩევნები ფედერალურ რესპუბლიკაში, ოკუპაციის საბჭოთა ზონაში და ბერლინში. ასეთი არჩევნები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ გერმანელი ხალხისათვის ეროვნულ თავისუფლებას და სიროვნების თავისუფლებას. იმისათვის, რომ გამოერკვია, არსებობს თუ არა ეს პირველი არსებითი პირობა, გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ დანიშნა კომისია, რათა ერთსა და იმავე დროს მოეხდინა გამოკვლევა ფედერალურ რესპუბლიკაში, საბჭოთა ზონასა და ბერლინში. გამომკვლევ კომისიას მიეცა პირობა, რომ იგი მიიღებს საჭირო შესაძლებლობას ფედერალურ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინში. შეერთებული შტატების მთავრობა მოხარული იქნება შეიტყოს, რომ ასეთივე შესაძლებლობა მიეცემა კომისიას საბჭოთა ზონასა და აღმოსავლეთ ბერლინში, რათა მან შეასრულოს თავისი ამოცანა.

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი არ შეიცავენ არავითარ მითითებას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა ექნება საერთაშორისო ასპარეზზე სრულიად გერმანიის მთავრობას საზავო ხელშეკრულების დადებამდე. შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ სრულიად გერმანიის მთავრობას უნდა ექნეს შესაძლებლობა როგორც საზავო ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ისე ხელმოწერის შემდეგ თავისუფლად შევიდეს კავშირებში, რომლებიც შეესაბამება გაერთიანებული ერების პრინციპებსა და მიზნებს.

შემოიტანარა თავისი წინადადებანი გერმანიის საზავო ხელშეკრულების შესახებ, საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს აგრეთვე სხვა წინადადებანი. შეერთებული შტატების მთავრობა ცნობად იღებს ამ განცხადებას. მისი აზრით საზავო ხელშეკრულების ყოველმხრივ განხილვა შეუძლებელია დაიწყოს მანამდე, სანამ არ შეიქმნება ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალი არჩევნების მოწყობას, და სანამ არ ჩამოყალიბდება თავისუფალი სრულიად გერმანიის მთავრობა, რომელსაც შეეძლება მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში.

არის აგრეთვე მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია.

მაგალითად, შეერთებული შტატების მთავრობა აღნიშნავს, რომ, საბჭოთა მთავრობის განცხადების თანახმად, გერმანიის ტერიტორია იფარგლება საზღვრებით, რომლებიც დაწესებულია პოტსდამის კონფერენციის დადგენილებით. შეერთებული შტატების მთავრობას სურს მოგვაგონოთ, რომ სინამდვილეში გერმანიის საბოლოო საზღვრები არ ყოფილა დაწესებული პოტსდამის დადგენილებებით, რომლებშიც ნათლად გათვალისწინებულია, რომ ტერიტორიული საკითხების საბოლოო განსაზღვრა უნდა გადაიდოს სამშვიდობო მოწესრიგებამდე.

შეერთებული შტატების მთავრობა აგრეთვე აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობას ახლა მიაჩნია, რომ საზავო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს გერმანიის ეროვნული შეიარაღებული ძალების — სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნას, — ამავე დროს ზღუდავდეს გერმანიის თავისუფლებას—კავშირი დაამყაროს სხვა ქვეყნებთან. შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ ასეთი პირობები იქნება ნაბიჯის უკან გადადგმა, მათ შეუძლიათ ხელი შეუშალონ ევროპაში ახალი ხანის დაწყებას, როცა საერთაშორისო ურთიერთობა დაფუძნებული იქნება თანამშრომლობაზე და არა მეტოქეობასა და უნდობლობაზე. შეერთებული შტატების მთავრობა, დარწმუნებული, რომ საჭიროა ევროპის ერთიანობის პოლიტიკა, სავსებით უჭერს მხარს გეგმებს, რომლებიც ითვალისწინებენ გერმანიის მონაწილეობას ევროპის თანასაზოგადოებაში, რომელსაც წმინდა თავდაცვითი ხასიათი აქვს და რომლის მიზანია თავისუფლების შენარჩუნება, აგრესიისა და მილიტარიზმის აღორძინების თავიდან აცილება. შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადება გერმანიის ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ შეუთავსებელია ამ მიზნის განხორციელებასთან. შეერთებული შტატების მთავრობა წინანდებურად დარწმუნებულია, რომ ევროპის ერთიანობის პოლიტიკა არ შეიძლება ემუქრებოდეს რომელიმე ქვეყნის ინტერესებს და რომ იგი საიმედო გზაა მშვიდობისაკენ“.

საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 9 აპრილის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამა წლის 25 მარტის ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

საბჭოთა მთავრობამ თავის 10 მარტის ნოტაში წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს, დაუყოვნებლივ განეხილათ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი, რათა უახლოეს დროში მომზადებული ყოფილიყო საზავო ხელშეკრულების შეთანხმებული პროექტი. საზავო ხელშეკრულების მომზადების გაადვილების მიზნით, საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტი და თანხმობა განაცხადა განიხილოს აგრეთვე ყოველგვარი სხვა წინადადება.

ამასთან საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლეოდა, რომ საზავო ხელშეკრულების შემუშავებაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიას, სრულიად გერმანიის მთავრობის სახით. 10 მარტის ნოტით აგრეთვე გათვალისწინებული იყო, რომ სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებიც საოკუპაციო ფუნქციებს ასრულებენ გერმანიაში, უნდა განიხილონ საკითხი იმ პირობების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ გერმანელი ხალხის ნების გამომხატველი სრულიად გერმანიის მთავრობის რაც შეიძლება მალე შექმნას.

როცა საბჭოთა მთავრობას შემოჰქონდა თავისი წინადადებანი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხზე, იგი იმას ემყარებოდა, რომ ამ ძირითადი საკითხების გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის და შეეფერება გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული ინტერესებისადმი სამართლიანი დამოკიდებულების მოთხოვნებს.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების გადაუდებლობა იმას იწვევს, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა მიიღონ რაც შეიძლება სწრაფი ღონისძიებანი გერმანიის გასაერთიანებლად და სრულიად გერმანიის მთავრობის შესაქმნელად.

ამის შესაბამისად საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა დაუყოვნებლივ განიხილონ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის საკითხი, როგორც ამას საბჭოთა კავშირის მთავრობა წინათაც მოითხოვდა. სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მხრივ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების აუცილებლობის აღიარება ქმნის უახლოეს დროში ასეთი არჩევნების მოწყობის სრულ შესაძლებლობას.

რაც შეეხება წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის მიერ სრულიად გერმანიის მომავალ თავისუფალ არჩევნებთან დაკავშირებით ასეთი არჩევნების პირობების არსებობის შემოწმებას, ეს წინადადება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელიც, 107-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავს გერმანიის საქმეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევას. ასეთი შემოწმება შეიძლებოდა გაეწია იმ ოთხი სახელმწიფოსაგან შექმნილ კომისიას, რომლებიც საოკუპაციო ფუნქციებს ასრულებენ გერმანიაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტს, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ გამოუთქვამს თანხმობა შესდგომოდა ამ პროექტის განხილვას და არ წარმოუდგენია საზავო ხელშეკრულების თავისი პროექტი.

ამასთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ წამოაყენა მთელი რიგი საწინააღმდეგო მოსაზრებანი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტის ცალკეულ პუნქტებზე, რაც იწვევს მთავრობებს შორის ნოტების შემდგომ გაცვლას და სადავო საკითხების გადაჭრის შეფერხებას, რომელიც შეიძლებოდა თავიდან აგვეშორებინა სახელმწიფოთა მიერ უშუალოდ განხილვისას. მაგრამ რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების 25 მარტის ნოტაში აღძრულია ასეთი საკითხები, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია შეჩერდეს ამ საკითხებზე.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების საბჭოთა პროექტში ნათქვამია: „გერმანია კისრულობს ვალდებულებას არ შეუიდეს რომელიმე იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ რაიმე კოალიციაში ან სამხედრო კავშირში, რომელიც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობას იღებდა გერმანიის წინააღმდეგ ომში“.

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ასეთი წინადადება შეეფერება იმ სახელმწიფოთა ინტერესებს, რომლებიც ოკუპაციის ფუნქციებს ასრულებენ გერმანიაში, ისე როგორც მისი მეზობელი სახელმწიფოების, აგრეთვე თვით გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესებს. ასეთ წინადადებაში არ არის გერმანიის სახელმწიფოს სუვერენულ უფლებათა შეუწყნარებელი შეზღუდვა. მაგრამ ეს წინადადება გამორიცხავს აგრეთვე გერმანიის შეყვანას სახელმწიფოთა ამა თუ იმ დაჯგუფებაში, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტში ნათქვამია: „გერმანიას ნებადართული ექნება იყოლიოს სახელმწიფოს დაცვისათვის საჭირო ეროვნული შეიარაღებული ძალები (სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო)“.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ შეიტანა ანალოგიური წინადადება იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესახებაც. ასეთი წინადადება შეესაბამება ეროვნული სუვერენიტეტისა და სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ იაპონიას ჰქონდეს უფლება იყოლიოს თავისი ეროვნული შეიარაღებული ძალები, რომლებიც განკუთვნილია ამ ქვეყნის თავდაცვის მიზნებისათვის, გერმანიას კი წაერთვას ასეთი უფლება და ჩაყენებულ იქნას უარეს მდგომარეობაში. უეჭველია, რომ მშვიდობის საქმისათვის, ისევე როგორც გერმანელი ერისათვის, გაცილებით უკეთესი იქნება შეიქმნას ასეთი თავდაცვითი სამხედრო ძალები, ვიდრე დასავლეთ გერმანიაში შეიქმნას რევანშისტთა დაქირავებული ჯარები, ფაშისტ-ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით, რომლებიც მზად არიან გადაჩეხონ ევროპა მესამე მსოფლიო ომის უფსკრულში.

რაც შეეხება გერმანიის საზღვრებს, საბჭოთა მთავრობას სრულიად საკმაოდ და საბოლოოდ მიაჩნია ამ საკითხზე პოტსდამის კონფერენციის დადგენილებანი, რომლებიც მიიღეს როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, ისე სსრ კავშირისა და დიდ ბრიტანეთის მთავრობებმა და რომლებსაც საფრანგეთი შეუერთდა.

საბჭოთა მთავრობა კვლავ წინადადებას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად შეუდგნენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების, აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხის განხილვას. საბჭოთა მთავრობა ვერ ხედავს ამ საკითხების გადაჭრის გადადების საფუძვლებს.

სწორედ ამჟამად წყდება საკითხი, იქნება თუ არა აღდგენილი გერმანია, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელიც ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახში შევა, თუ ძალაში დარჩება გერმანიის გათიშვა და ამასთან დაკავშირებული საფრთხე ომისა ევროპაში.

საბჭოთა მთავრობა ანალოგიურ ნოტებს ამავე დროს უგზავნის ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს.

გ-ნებმა შატენიომ, კამინგმა და გრეიმ განაცხადეს, რომ აღნიშნულ ნოტებს ისინი გადასცემენ თავიანთ მთავრობებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ი. ს. დოლიძის სიტყვა

(მახარაძის რაიონის ბახვის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურ-მხატვრული ზრდის საქმეში. ქართველმა მწერლებმა, კომპოზიტორებმა და მხატვრებმა შექმნეს თვალსაჩინო ნაწარმოებები, რომლებიც ეხებიან თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, ასახავენ საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებას.

ამჟამად რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე საბჭოთა პიესებს.

გასული თეატრალური სეზონის მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენას წარმოადგენდა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი „მისი ვარსკვლავი“. ამ სპექტაკლის მონაწილე წამყვანი მსახიობებმა, რეჟისორისა და მხატვრის მუშაობა აღინიშნა სტალინური პრემიით.

1951 წელი რესპუბლიკის ზოგიერთმა თეატრმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია სუხუმის დრამატული თეატრი, რომელმაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მნიშვნელოვან შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწია. თეატრმა დრამატურგებთან თანამშრომლობის შედეგად შექმნა რამდენიმე კარგი თანამედროვე სპექტაკლი.

1951 წელს კარგად მუშაობდნენ რუსთაველის სახელობის, ქუთაისის, გრიბოედოვის სახელობის, მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული დრამატული თეატრები.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მთელმა რიგმა თეატრებმა ვერ შეასრულეს 1951 წლის საწარმოო და სარეპერტუარო გეგმის მაჩვენებლები და სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს. ამ მხრივ აღსანიშნავია მარჯანიშვილის თეატრი, სტალინირის, ბათუმის, თელავის, ზუგდიდისა და სხვა თეატრები.

როგორც დადებითი ფაქტი ჩვენი თეატრების მუშაობაში, უნდა აღინიშნოს შარშან თბილისში და რაიონებში მოწყობილი გასტროლები. გასტროლებმა მნიშვნელოვანი მხატვრული და მატერიალური ეფექტი მოგვცა და საგრძნობლად გააუმჯობესა თეატრების მატერიალური ბაზა.

თეატრების მუშაობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან პირობას თანამედროვე რეპერტუარის შექმნა წარმოადგენს. რეპერტუარი თეატრის შემოქმედებითი მუშაობის საფუძველია. მით უფრო აუცილებელია დავძლიოთ ის ერთგვარი სიღარიბე და ნაწილობრივ პერსპექტივის უქონლობა, რაც იგრძნობა რესპუბლიკის წამყვანი თეატრების რეპერტუარში.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პრინციპული შემოქმედებითი კრიტიკის გაშლას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თეატრალური კრიტიკა ყოველთვის არ იძლევა სპექტაკლების პრინციპულ შეფასებას.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეულმა გაზეთმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ უნდა გააძლიეროს და გაშალოს პირუთვნელი ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა.

ქართველმა კომპოზიტორებმა მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის“ შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ მნიშვნელოვანი მუსიკალური ნაწარმოებნი შექმნეს, მაგრამ დღემდე ვერ მოგვცეს სრულყოფილი თანამედროვე საოპერო და საბალეტო ნაწარმოებნი.

ცნობილია, რომ საოპერო ნაწარმოებებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის ლიტერატურულ საფუძველს — ლიბრეტოს. კომპოზიტორ ალექსანდრე ბუკიას საკმაო მუსიკალური ღირსების მქონე თანამედროვე საბავშვო ოპერა — „დაუპატიჟებელი სტუმრები“, რაც ოპერის თეატრში დაიდგა, უშუალოდ და ღრმად ვერ განიცადა მაყურებელმა იმის გამო, რომ მისი ლიბრეტო მეტად გულუბრყვილო და პრიმიტიული აღმოჩნდა.

კომპოზიტორთა შემოქმედებით მუშაობაში სასიხარულო მოვლენას წარმოადგენს ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორების დიდი წარმატება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ოთარ თაქთაქიშვილის, დავით თორაძისა და სულხან ცინცაძის შემოქმედებითი მუშაობა. ამ ახალგაზრდა კომპოზიტორებმა სტალინური პრემიები დაიმსახურეს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა, რომლის რეპერტუარის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა კომპოზიტორს სულხან ცინცაძეს. კვარტეტის ნიჭიერ შემსრულებელთა მუშაობა წელს სტალინური პრემიით აღინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანს ქართული საესტრადო რეპერტუარი ერთგვარად გაუმჯობესდა, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ განვდევნოთ ესტრადიდან ისეთი მასალა, რომელიც დამახინჯებულად და კარიკატურულად წარმოგვიდგენს ჩვენი ცხოვრების ცალკეულ მხარეებს. ამ საქმეში უფრო მეტი შემოქმედებითი დახმარება უნდა გაგვიწიოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ.

საქართველოში ფართოდ განვითარდა მუსიკალური განათლება. ამჟამად რესპუბლიკაში 26 დაწყებითი მუსიკალური სკოლაა. მაგრამ მცირეა საშუალო მუსიკალური სკოლების რიცხვი. შარშან ჩვენ ვითხოვეთ თბილისის მუსიკალური სტუდიის გადაკეთებას საშუალო მუსიკალურ სკოლად, რაც არ მოხერხდა. წელს განმეორებით ვითხოვთ დახმარებას ამ საქმეში.

საყოველთაოდ ცნობილია ქართული პროფესიული საბალეტო ხელოვნების ზრდა უკანასკნელ წლებში. ამავე დროს ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს ბალეტის მსახიობთა მომზადების მტკიცე ბაზა. საჭიროა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დაგვეხმაროს, რათა ოპერის თეატრთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდია გადაკეთდეს საბალეტო საშუალო სკოლად.

ზაფხულობით დედაქალაქის მოსახლეობის კულტურული მომსახურებისათვის გვაქვს ერთადერთი და ისიც მეტად ვიწრო საესტრადო მოედანი — ფილარმონიის პარკი. ამავე დროს დედაქალაქის ორი დიდი რაიონის — ბერიასა და ორჯონიკიძის რაიონების მოსახლეობა ზაფხულობით მოკლებულია კულტურული დასვენების შესაძლებლობას. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დააყენა კიროვის სახელობის პარკში საზაფხულო საესტრადო მოედნის მოწყობის საკითხი, მაგრამ კაპიტალურ დაბანდებათა თანხების უქონლობის გამო ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ამხანაგო დეპუტატებო! ეჭვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, რომლებსაც შექმნილი აქვთ ყველა აუცილებელი პირობა შემდგომი შემოქმედებითი ზრდისათვის, მთელ თავიანთ ძალას გამოიყენებენ იმისათვის, რომ შექმნან თანამედროვეობის ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოებნი.

ამ ამოცანის შესრულების საწინდარია ის დიდი მზრუნველობა და ყურადღება, რასაც საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ იჩენს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი, მშვიდობის მედროშე დიდი სტალინი. (ტაში).

დეპუტატ ვ. ვ. მირიანაშვილის სიტყვა

(წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგებო! საქართველოს სს რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ხაზით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

საბჭოთა მთავრობამ საქართველოს მშრომელებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა უახლოეს წლებში საქართველოს მოსახლეობის საკუთარი პურით დაკმაყოფილება.

ამ დადგენილების შესაბამისად მიმდინარე წელს ხორბლის კულტურის ფართობი 1951 წელთან შედარებით 75 ათასი ჰექტარით უნდა გაიზარდოს. პირველი აპრილისათვის მიღებული ცნობებით საგაზაფხულო სამუშაოები საქართველოს მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ თესვა კარგა ხანია დაიწყო, ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არა აქვთ მომზადებული სათესლე მასალა და არ დაუმთავრებიათ მარცვლეული კულტურების, ბალახების და საკვები ძირხვენების თესლის გატანა.

საგაზაფხულო ხვნა-თესვაში სერიოზული ჩამორჩენაა გორის, თელავის, ხაშურის, საჩხერის, თერჯოლის, კასპის, ზესტაფონის, ბოლნისისა და ახმეტის რაიონების კოლმეურნეობებში.

ასევე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს მინერალური სასუქების გატანისა და გამოყენების საქმეში. მინერალური სასუქებით საშემოდგომო ნათესების საგაზაფხულო გამოკვებაში ჩამორჩენებიან ახალციხის, ადიგენის, ხაშურის, გორის, თელავის, ყვარლის, დუშეთის, კასპის და საგარეჯოს რაიონები, ხოლო გატანის საქმეში — ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დუშეთის, თეთრი წყაროს, დმანისის, თიანეთის, სოღნაღის და ზოგიერთი სხვა რაიონი.

1952 წელს საკოლმეურნეო წარმოებაში უფრო მეტად იზრდება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი. საქართველოს მტს-ებმა რბილ ხვნაზე გადაყვანით წელს 1951 წელთან შედარებით 210 ათასი ჰექტარით მეტი სამუშაო უნდა შეასრულონ.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს მანქანების ხშირი მოცდენა, ცალკეული ტრაქტორისტების მიერ ცვლის ნორმების შეუსრულებლობა, აღმოფხვრილი არ არის ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ცუდი მოვლისა და შენახვის ფაქტები. ამით აიხსნება, რომ საქართველოს მტს-ებში თვითეული 15 ცხენისძალიანი ტრაქტორის დატვირთვა 330 ჰექტარს არ აღემატება.

ზოგიერთ მტს-ში გაცილებით უფრო დაბალია ტრაქტორების სიმძლავრის გამოყენება: 1951 წელს ხობის მტს-ში თვითეულ 15-ძალიან ტრაქტორზე საშუალოდ გამომუშავებულია 137 ჰექტარი, ზესტაფონის მტს-ში — 192, ბოლნისის მტს-ში — 194, გუდაუთის მტს-ში—175 და გორის მტს-ში — 178 ჰექტარი.

მართალია, საქართველოს მტს-ები ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ სატრაქტორო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმებს, მაგრამ ამასთან ერთად არ სრულდება მოსავლიანობის სახელმწიფო გეგმები. გასულ წელს 82 მტს-იდან მოსავლიანობის გეგმა შეასრულა მხოლოდ სამმა — ლაგოდეხის, აფენისა და კაჩაგანის მტს-ებმა.

გასულ წელს მტს-ებმა ზოგიერთი სამუშაო დაბალხარისხოვნად და დაგვიანებით შეასრულა. მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოები ზოგან კვლავ დაბალხარისხოვნად სრულდება. ტყვიავის მტს-ში 527 ჰექტარ საგაზაფხულო ნახნავიდან მხოლოდ 28 ჰექტარია მოხნული წინასახნისიანი გუთნით, ასეთივე მდგომარეობაა ყვარლისა და გომის მტს-ებში.

მტს-ების მუშაობაში ყველა ეს ნაკლი იმის შედეგია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები მტს-ებს არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ყველაზე ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგი, როგორიც არის სოციალისტური მეცხოველეობა. წლითიწლობით არ სრულდება პროდუქტიულობის გეგმები იმის გამო, რომ დიდია ბერწიანობა, მიღებულ მოზარდს მთლიანად ვერ ინარჩუნებენ, ცუდი კვების შედეგად პირუტყვი გამხდარია, მთელ რიგ კოლმეურნეობებში სულადობის სახელმწიფო გეგმის შესრულება ხდება შესყიდვის გზით, რაც ამცირებს შრომადღეებზე გასანაწილებელი პროდუქტებისა და ფულის რაოდენობას. ამასთან კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი კაპიტალური მშენებლობის ნაცვლად პირუტყვის შეძენაზე იხარჯება.

თავი რომ დავაღწიოთ მეცხოველეობაში არსებულ ჩამორჩენას, საჭიროა მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხები პირველ რიგში გამოვიყენოთ ფერმების, პირუტყვის კულტურული ბინების ასაგებად, რაც ამავე დროს საშუალებას მოგვცემს გავატაროთ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია საკვების მომზადების, წყლის, წყლით მომარაგების საქმეში და სხვა.

არ სრულდება მთელი რიგი ღონისძიებანი მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნისათვის. არ ხდება მემინდვრეობის ნარჩენების წესიერი გამოყენება, ბევრგან, განსაკუთრებით იქ, სადაც სარწყავი ფართობებია, ხორბლის მოსავლის აღების შემდეგ შეიძლება ზოგიერთი კულტურის მეორე მოსავლის მიღება. აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში მტკიცედ უნდა დავნერგოთ სიმინდში სოიის და საქონლის საკვები გოგრის შეთესვა, ხოლო ბალახების და ძირხვენების სუფთა ნათესები, რომელთა ფართობი მეტად განსაზღვრულია, უნდა მუშავდებოდეს ყველაზე უკეთესად. ამასთან საჭირო ღონისძიებები უნდა განხორციელდეს არსებული საძოვრების გამოყენებისათვის.

სოფლის მეურნეობის ხაზით დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი გაფართოება, მისი ეკონომიკის განმტკიცება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაეიცავთ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას და საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ საკითხზე მიღებულ ცნობილ დადგენილებებს. ჯერ კიდევ არის შრომადღეების არასწორი ხარჯვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების მითვისების, საკოლმეურნეო საკუთრების დატაცების შემთხვევები, შრომის ორგანიზაციისა და საკოლმეურნეო შრომის დისციპლინის მოუგვარებლობა, სარევიზიო კომისიების უმოქმედობა და სხვ. ულმობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ იმ პირებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ზიანს აყენებენ საზოგადოებრივ მეურნეობას.

ამხანაგო დეპუტატებო! ვუერთდები გამოსული დეპუტატების აზრს და წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

ქამათი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ შ. ვ. დავითუღიანის სიტყვა

(ქვემო სვანეთის რაიონის ქვემო სვანეთის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში თავის უდიდეს ისტორიულ გამარჯვებებს უმადლის ლენინ-სტალინის პარტიას, ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის მედროშეს, მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალურ წინამძღოლს ამხანაგ სტალინს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სვანეთი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენდა. სრული უგზოობა, ბნელი საცხოვრებელი მიწურები, წერა-კითხვის უცოდინარობა, მუდმივი გაჭირვება და ცხოვრების აუტანელი პირობები—ასეთი იყო ძველი სვანეთის მშრომელთა ხვედრი.

სულ სხვა სურათია ახლა. სოციალისტური მშენებლობის წლებში სვანეთი გარდაიქმნა და განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად, მიუვალ მთებში გაყვანილ იქნა საავტომობილო გზები. ორსართულიანი ოდა-სახლები, ათობით დაწყებითი და საშუალო სკოლა, სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, კინო, რადიო, წიგნი, გაზეთი და ელექტროსინათლე ქვემო სვანეთის საკოლმეურნეო სოფლების კუთვნილება გახდა.

რაიონის კულტურისა და მეურნეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული ომის-შემდგომ წლებში. ორგანიზაციულად მტკიცდებიან და მეურნეობრივად იზრდებიან კოლმეურნეობები. 1951 წელს რაიონის კოლმეურნეობებში შრომადღეებზე 24 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გაიცა, ვიდრე წინა წლებში. პარტიისა და მთავრობის დახმარების შედეგად, რაიონის კოლმეურნეობებმა შეძლეს უკანასკნელი 2-3 წლის განძილზე აეგოთ სამი ჰიდროელექტროსადგური, რომელთა ბაზაზე ხორციელდება საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია.

1950 წლის მეორე ნახევარში დაიწყო და მიმდინარე წლის აგვისტოში დამთავრდება რაიონული საავადმყოფოს მშენებლობა. ამას გარდა უახლოეს ხანში დამთავრდება ორი საუბნო საავადმყოფოს შენობის აგება.

თავისებური პირობების გამო მთიან რაიონებში მექანიზაციის განხორციელება შეზღუდულია, რაც აფერხებს მეცხოველეობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომ სწრაფ აღმავლობას. საჭიროა უფრო აქტიურად დაისვას მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განხორციელების საკითხები, რადგან მთიან რაიონებს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვთ და ამ რაიონებში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფა სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განხორციელებას მივუდგეთ დიფერენცირებულად, ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით. საჭიროა ამ ამოცანის გადასაწყვეტად უფრო მეტად დაინტერესდნენ სათანადო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი.

ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას ქვემო სვანეთის რაიონისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რაიონში მოიპოვება საჭირო პირობები რენტაბელური ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით 1950 წელს შეიქმნა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი და გადაწყდა ავეჯის ფაბრიკის, მექანიკური სახელოსნოს, კირის ქარხნის მშენებლობის დაწყება. ჩვენ შეგვეძლო დროზე განგვეხორციელებინა აღნიშნული საწარმოთა მშენებლობა, მაგრამ საპროექტო ორგანიზაციებმა ამის საშუალება არ მოგვცეს. კირის ქარხნისა და მექანიკური სახელოსნოს პროექტები და ხარჯთაღრიცხვები ხანგრძლივი დაგის შემდეგ ძლივს მივიღეთ 1951 წლის ბოლოს, ე. ი. ერთი წლის დაგვიანებით, ხოლო ყველაზე მსხვილი ობიექტის — ავეჯის ფაბრიკის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განხილული და დამტკიცებული. საპროექტო სამუშაოთა ასე გაჭიანურებამ ის გამოიწვია, რომ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა 1951 წლის საფინანსო-საწარმოო გეგმა მხოლოდ 26 პროცენტით შეასრულა.

რაიონში შედარებით იოლად მისადგომ ადგილას მდებარეობს ხარისხოვანი მარმარილოს დიდი საბადო. საქართველოს მარმარილოს ტრესტი და სხვა სამშენებლო ორგანიზაციები უნდა დაინტერესდნენ ქვემო სვანეთის მარმარილოს საბადოს შესწავლითა და ათვისებით.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1952 წლის ბიუჯეტი, რომელიც შემოტანილია სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, ძთლიანად შეესაბამება იმ ამოცანებს, რაც დასახულია რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარების 1952 წლის გეგმით.

დიდება და გამარჯვება მშობლიურ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ ა. ა. ვასაძის სიტყვა

(ქალაქ თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ლენინ-სტალინის პარტიის, ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად დღითიდღე იზრდება და იფურჩქნება საბჭოთა კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა. ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია და საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრალური კულტურის პირველ რიგებში ჩადგა. ქართული თეატრალური ხელოვნების ნიმუშებს არაერთხელ გასცნობია საბჭოთა მაყურებელი, მისი წარმატებანი არაერთხელ აღნიშნულა მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით, ფართო მასების მოწონებით. ქართული თეატრალური ხელოვნების ეს წარმატება მოპოვებულია თეატრის მუშაკთა მჭიდრო კავშირით პარტიულობასთან, შემოქმედებითი საკითხების ერთობლივი, კოლეგიალური გადაწყვეტით.

სესიის ყურადღება მინდა შეეჩერო ქართული თეატრის შუამობის ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე, განსაკუთრებით კი რეპერტუარის საკითხზე. ცხოვრებამ ახალი მოთხოვნები წაუყენა დრამატურგებს, მოითხოვა საბჭოთა სინამდვილის სრულყოფილი მხატვრული ასახვა, ეიესების შექმნა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიც არის კომუნიზმის მშენებელი ადამიანის გმირული პათოსით აღსავსე ცხოვრება და შრომა, დიდი ბელადების მოღვაწეობა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპებზე. ამ თემების დაძლევა საჭიროებდა არა მარტო თეატრალურ-შემოქმედებითს კონსულტაციას, არამედ დიდ პოლიტიკურ კონსულტაციასაც, რასაც მოკლებული ვიყავით. უნდა ითქვას, რომ თეატრის ხელმძღვანელები ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვიღებდით ჩვენს თავზე, და შეიძლება ზედმეტ გაბედულებასაც ვიჩენდით ამ მნიშვნელოვანი თემების განხორციელების დროს.

მეორე მხრივ, დრამატურგებისადმი ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის და ზოგიერთი კრიტიკოსის არამართებული, ლიბერალური დამოკიდებულების გამო ისინი დრამის ძირითადი კანონების უგულებელყოფამდეც კი მივიდნენ; ქმნიდნენ ზერელე, რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილ არამხატვრულ ნაწარმოებებს, ხოლო თეატრები, რომლებიც იძულებული იყვნენ დაედგათ ზემდგომი ორგანოების მიერ რეკომენდებული ეს სუსტი პიესები, ვერ აკმაყოფილებდნენ თანამედროვე მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

მაგალითის მოყვანა არ გამიჭირდება. რუსთაველის თეატრის შესახებ მოგახსენებთ. ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ შექმნილი პირობების გამო იძულებული ვართ შევადგინოთ ერთფეროვანი, მარტივი რეპერტუარი, წავიდეთ ნაკლები წინააღმდეგობის გზით. ხელოვნების საკავშირო კომიტეტის დადგენილებაში პირდაპირ სწერია, რომ სეზონში რესპუბლიკური მნიშვნელობის ცირველი კატეგორიის თეატრებმა 10-12 დადგმა უნდა განახორციელონ. ცხადია, ამ დადგენილებაში სრულიად არ არის გათვალისწინებული არც დროის ფაქტორი და არც ნაწარმოების ხასიათი. რუსთაველის თეატრის დიდი შემოქმედებითი კოლექტივის ენერგია იმისათვის იხარჯება, რომ როგორმე შეასრულოს ამ დამტკიცებულ დადგმათა რაოდენობა.

მე მინდა ვთხოვო მთავრობას — მოხდეს ჩვენი შემოქმედებითი გეგმების სერიოზული განხილვა, თორემ მოგავალში ის კომერციული წარმატებაც არ გვექნება, რაც დიდი მომჭირნეობისა და თეატრის კოლექტივის დაუღალავი შრომის შედეგად გაქვს. მიუხედავად მოწინავე ქართველი დრამატურგების — ილო მოსაშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის, იონა ვაკელის თანამედროვე საინტერესო პიესებისა, რუსთაველის თეატრს წარსულთან შედარებით ჯერ არც ერთი თვალსაჩინო მაღალმხატვრული ტილო არ შეუქმნია.

რუსთაველის თეატრის კოლექტივი პარტიისა და მთავრობის დახმარებით, რეპერტუარის უკეთესი შერჩევით გამოასწორებს ყველა იმ ნაკლს რაც მის შემოქმედებითს მოღვაწეობას ახასიათებს, და შეძლებს სრულყოფილად ასახოს გმირი საბჭოთა ხალხის ზრდისა და განვითარების მღელვარე პროცესები.

გაუმარჯოს ჩვენი შთაგონების უწმინდეს წყაროს, ხალხთა საყვარელ ბელადს, მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს მიმართვა

ბუდაპეშტი. 10 აპრილი. (საკდესი). დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ მთელი მსოფლიოს ქალაშვილებსა და ჭაბუკებს მიმართა მოწოდებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ ესპანეთის ანტიფაშისტური ახალგაზრდობისა და სტუდენტებისადმი სოლიდარობის საერთაშორისო დღის ჩატარებაში 14 აპრილს.

პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღფრთოვანებული ესპანელი ახალგაზრდობა, ნათქვამია მოწოდებაში, საბრძოლველად იარაღდება, ებრძვის ესპანეთის დამოუკიდებლობა, ბოლო მოუღოს ახალგაზრდობის სიღატაკეს და დემოკრატიული უფლებები და თავისუფლება მოუპოვოს თავის ხალხს.

ბარსელონის გიფიცვის ხელმძღვანელები ლოპეს რაიმუნდო და მისი ამხანაგები ამ ბრძოლის ნამდვილ სიმბოლოს წარმოადგენენ. მათ მთელ მსოფლიოს დაანახეს, რომ ესპანელი ხალხი და ესპანელი ახალგაზრდობა არ ურიგდებიან ფრანკოს მიერ დამყარებულ მონობის რეჟიმს. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია თავისი 72 მილიონი წევრის სახელით მიესალმება ესპანელი ახალგაზრდობის შესანიშნავ ბრძოლას, რომელიც ნაწილია მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ბრძოლისა მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს განცხადება

ტოკიო, 10 აპრილი. (საკდესი). იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ხელმძღვანელმა ორგანომ გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება ამერიკელთა სამხედრო ტრიბუნალის მიერ შვიდი კომუნისტისათვის გამოტანილი განაჩენის წინააღმდეგ, რომლებსაც მსჯავრი დადეს „ოკუპაციის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის“.

დროებითი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს განცხადებაში აღნიშნულია, რომ იაპონელ ხალხს უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს იაპონიის გადაქცევას სამხედრო ბაზად და იცოდეს, თუ რა ზარალი მიაყენა ხალხს სამხედრო ბაზების მშენებლობამ. განაჩენის მიზანია დააშინოს იაპონელი ხალხი, რომელიც ძლიერ უკმაყოფილია იაპონია-ამერიკის სამხედრო შეთანხმებით — ეგრეთწოდებული „უშიშროების პაქტით“ და „ადმინისტრაციული შეთანხმებით“.

სახელმწიფო გადაბრიალება ბოლივიაში

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ ქალაქ ლა-პასიდან (ბოლივია) გადმოცემული ცნობით, 9 აპრილს დილით ლა-პასში პოლიციისა და არმიის ოფიცრებმა „ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის“ პარტიასთან (მთავრობის საწინააღმდეგო მემარჯვენე პროფაშისტური პარტია.—რედ.) თანამშრომლობით მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება.

ლა-პასის რადიოს განცხადებით, გენერალ ბალივიანის მთავრობა დამხობილია.

პრესის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები ვერ იძლევა იმ მოვლენათა სრულ სურათს, რომლებიც ლა-პასში ხდება. მაგრამ აღნიშნავენ, რომ ამ მოვლენათა კულისებს უკან ამერიკელი მონოპოლისტები დგანან. კერძოდ, ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ამერიკის მონოპოლიებმა ვერ მოახერხეს თავს მოეხვიათ ბალივიანის მთავრობისათვის კალის მათთვის სასურველი ფასი. მონოპოლიების დიქტატი იმდენად ბლავდა ბოლივიის ეროვნულ ინტერესებს, რომ ბალივიანის მთავრობას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ხალხის მასების პროტესტისათვის და იძულებული გახდა უარეყო ამერიკის მონოპოლიების მოთხოვნები.

ისლანდიის ოკუპაცია ამერიკის ჯარების მიერ

ოსლო, 10 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „დაგბლადეტის“ ცნობით, ამ დღეებში ისლანდიაში კეფლავიკის აეროდრომზე გადასხეს ამერიკელთა მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები. იქ ჩაიტანეს ავრეთვე სამხედრო მასალები. აეროდრომის მომსახურებისათვის სასწრაფოდ მოახდინეს 200 ისლანდიელის მობილიზაცია.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან თანამოქმედებით თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ, ამასთან ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 10 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის მიერ კესონიდან 9 აპრილს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე არავითარი პროგრესი არ ყოფილა მიღწეული, რადგან ამერიკელები აოკანან თავიანთ წინანდელ პოზიციას და არავითარი ახალი წინადადება არ შეაქვთ.

კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატმა მათ მოაგონა, რომ ჯერ კიდევ 27 იანვარს, როცა ქვეკომიტეტმა შტაბის ოფიცრების განსახილველად გადასცა საკითხები, რომლებიც მე-3 პუნქტის დეტალებს შეეხება, კორეისა და ჩინეთის მხარემ სავსებით ნათლად განაცხადა, რომ იგი უარყოფს უგუნურ მოთხოვნას — დაწესდეს შეზღუდვა კორეაში აეროდრომების მიმართ.

რამდენადაც ამერიკის შტაბის ოფიცრები იცავდნენ ამ მოთხოვნას, რომელიც უდრის კორეის საშინაო საქმეებში ჩარევას, და უარს ამბობდნენ მის მოხსნაზე, კორეისა და ჩინეთის მხარემ შეიტანა წინადადება განახლდეს ქვეკომიტეტის მუშაობა და გადაიჭრას აეროდრომების მიმართ შეზღუდვის საკითხი ნეიტრალური ქვეყნების კანდიდატურების საკითხთან ერთად.

მსოფლიოს ხალხები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივ მოქმედებას

პეკინი. გაზეთი „გუანმინჟიბაო“ იუწყება, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ყველგან იმართება საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები ამერიკელ აგრესორთა მიერ გაჩაღებული ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ. ცნობაში ნათქვამია, რომ 6 აპრილს ლანჯოუში გაიმართა საპროტესტო მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 ათასზე მეტმა უიგურმა, დუნგანმა, ყაზახმა და ყირგიზმა.

15 მარტს იუნანის პროვინციის ლუნჩუანის მაზრაში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დესწრო ეროვნულ უმცირესობათა 10 ათასი წარმომადგენელი, მათ გულისწყრომა გამოთქვეს ამერიკელ ინტერვენტთა სისხლისმღვრელი დანაშაულის გამო.

სოფია. ბულგარეთში ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც კვლავ ხმარობენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში.

პლოვდივში გამართული კრების მონაწილეებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც მტკიცე პროტესტს აცხადებენ ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების წინააღმდეგ და მოითხოვენ დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დასჯას.

მსგავსი საპროტესტო მიტინგები მოეწყო აგრეთვე ბოტევგრადში, ელინპელინში, პირდოსსა და სხვა ქალაქებში.

კოპენჰაგენი. დანიაში ძლიერდება პროტესტები კორეაში ამერიკელ ინტერვენტთა დანაშაულობის წინააღმდეგ, რომლებიც ბაქტერიოლოგიურ იარაღს ხმარობენ.

გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ აქვეყნებს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კოპენჰაგენის ორგანიზაციის კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციას. აღნიშნეს რა, რომ ამერიკელთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებამ ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის გულისწყრომა გამოიწვია, კონფერენციის მონაწილეებმა მოუწოდეს ყველა დანიელ ჭაბუკსა და ქალიშვილს პროტესტი განაცხადონ ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ და დანიის მთავრობას მოსთხოვონ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პროტესტი განაცხადოს შეერთებული შტატების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების წინააღმდეგ.

მონტევიდეო. მშვიდობისათვის ბრძოლის ბრაზილიის ეროვნულმა კომიტემა გაზეთ „იმპრენსა პოპულარში“ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მშვიდობის ყველა ბრაზილიელი მომხრის სახელით მრისხანე პროტესტს აცხადებს ამერიკელ აგრესორთა მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების წინააღმდეგ.

ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარება, ნათქვამია განცხადებაში, უწრნარეს ყოვლისა მთელ მსოფლიოში მშვიდობის ხელყოფაა.

ბრაზილიელმა ხალხმა, ისე როგორც მსოფლიოს ყველა დანარჩენმა ხალხმა, პროტესტი განაცხადა ასეთი იარაღის ხმარების წინააღმდეგ, სტოკჰოლმის მოწოდებაზე შეაგროვა 4.200 ათასი ხელმოწერა და ამრიგად გამოიქვა მხურვალე სიყვარული მშვიდობისადმი. ამიტომ მშვიდობისათვის ბრძოლის ბრაზილიის ეროვნული კომიტეტი სასტიკად გმობს ბაქტერიოლოგიური იარაღის დანაშაულებრივ ხმარებას, პროტესტს აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ კორეასა და ჩინეთში მისი გამოყენების წინააღმდეგ და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს იგი.

10 აპრილი (საკდესი).

გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და მასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ხალხის გამოკითხვის მომწყობი ცენტრალური კომიტეტის ცნობა

ბერლინი. 11 აპრილი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და მასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ხალხის გამოკითხვის მომწყობი ცენტრალური კომიტეტის ცნობა დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში ხალხის გამოკითხვის შედეგების შესახებ.

ამ ცნობაში აღნიშნულია, რომ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და მასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის ხალხის გამოკითხვის მსვლელობაში დასავლეთ გერმანიისა და ბერლინის დასავლეთ სექტორების 9.119.667 მცხოვრებმა აზრი გამოთქვა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადებისა და დამოუკიდებელ, თავისუფალ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ ყველა გერმანელის მშვიდობიანი გაერთიანების სასარგებლოდ, რემილიტარიზაციის წინააღმდეგ. ცნობაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ხალხის გამოკითხვის შედეგთან ერთად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც 18 წლის ასაკის უფროს მოქალაქეთა 95,84 პროცენტმა და 16-18 წლის ასაკის მოქალაქეთა 98,1 პროცენტმა თავიანთი ხმა მისცა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადებას და რემილიტარიზაციის წინააღმდეგ. დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში ხალხის გამოკითხვის ეს შედეგი მნიშვნელოვანი წვლილია გერმანელი ხალხის ბრძოლაში თავისი ეროვნული უფლებებისათვის. ცნობაში მოყვანილია დაწვრილებითი მონაცემები დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის საწარმოებში, პროფკავშირებსა და ბევრ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, იგრეთვე დასავლეთ გერმანიის ცალკეულ მხარეებში ხალხის გამოკითხვის მოწყობის შესახებ.

ხალხის გამოკითხვის მომწყობი ცენტრალური კომიტეტის ცნობა მთავრდება შემდეგი მოწოდებით ყველა გერმანელისადმი „თქვენი ერთობლივი ბრძოლა, თქვენი ერთობლივი მოქმედება, თქვენი ერთიანობა შეიცავს დიდ ძალას, რომლის საშუალებითაც ჩვენ მივაღწევთ საზავო ხელშეკრულების დადებას და რომელიც საბოლოოდ დაამსხვრევს რემილიტარიზაციის გეგმებს. ერთობლივი ბრძოლა და ერთიანობა უზრუნველყოფს გამარჯვებას, გამარჯვებას ჩვენი ხალხის სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის, ჩვენი ერის მშვიდობიანი, ბედნიერი მომავლისათვის“.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა რეპრესიული ღონისძიებანი საერთაშორისო ეკონომიური თათბირის ამერიკელ მონაწილეთა წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანის“ ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკის საკონსულოს ევროპაში მისცა მითითება ჩამოართვან პასპორტები ამერიკელ მოქალაქეებს, რომლებიც ესწრებიან საერთაშორისო ეკონომიურ თათბირს მოსკოვში და თავიანთ განცხადებებში, სადაც ითხოვდნენ პასპორტების მიცემას, არ აღუნიშნავთ, რომ მიდიან საბჭოთა კავშირში. გაზეთის ცნობით, ოფიციალური პირები ამჟამად იკვლევენ საკითხს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლის არტურ დეიჩისათვის პასპორტის მიცემის შესახებ.

ქალთა საკავშირო ფრენა ჭეშმარიტ ბრძოლისთვის

ეროვნული ტური

მეოთხმეტე ტურში დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. ესტონეთის ჩემპიონმა ს. როოტარემ ბ. ვაისბერგთან თამაშში პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, მან შეავიწროვა მოწინააღმდეგის ლაზიერის ფრთა, მოიგო ხარისხი და 33-ე სვლაზე პარტიაც.

ე. ბიგლოვა-ტ. ფილანოვსკაიას შეხვედრა მწვავე და საინტერესო თამაშის შემდეგ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. ვ. ბელოვა-ტ. მახინიას პარტია 24-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადადებულია. გასათამაშებელი დარჩა სამი ტური.

თბილისის ამბები

გამოწვანების სამუშაოები ძალაძში

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თბილისში გამოწვანების სამუშაოები. მეგობელ-დამრგავთა ბრიგადები გასული არიან ქუჩებში, პარკებში, მოედნებზე მცენარეების დასარგავად, გაზონების გასაშენებლად. დიდი მუშაობა მიმდინარეობს სანაპირო ქუჩებზე, კომკავშირულ ხეივანში, მთაწმინდაზე, დედაქალაქის მთელ რიგ სხვა კუთხეებში, აგრთვე გარეუბნებში.

სულ წელს ქალაქის ფარგლებში არსებულ მწვანე ნარგავთა მასივებს გაზაფხულზე 172.000 ძირი ხე და ბუჩქი შეემატება.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში

წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები მთაწმინდის პლატოზე — სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მოსამზადებლად სეზონის გასხნისათვის. ალამაზებენ სასეირნო გზებს, ხეივნებს, მოედნებს, შეუდგნენ პარკის მთავარი შენობის შეკეთებას. ყველა სამუშაოს დამთავრება ნავარაუდევია აპრილში, რათა 1 მაისიდან შესაძლებელი გახდეს საზაფხულო სეზონის გახსნა.

68 ახალი დუქანი

გაზაფხულზე და ზაფხულში მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით წელს თბილისში ამუშავებს უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელებისა და ნაყინით სავაჭრო 721 ფარდული და დუქანი.

საზოგადოებრივი კვების ქსელის ხაზით დამატებით გაიხსნება 68 ახალი დუქანი.

მეშახტეთა თვითმოქმედი წრეები

ტყიბული. (საკ. კორ.). მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსებულმა დრამატულმა წრემ, რომელსაც ი. ჭაჯაია ხელმძღვანელობს, მოამზადა და ამ დღეებში მეშახტეებს უჩვენა ი. ჭავჭანიძის „ობილისელი ქალიშვილი“.

წრის მიერ გამართულმა სპექტაკლმა ბევრი მეშახტე მაყურებელი მიიზიდა.

კარგად მუშაობენ სასულე ორკესტრისა და ჭრა-კერვის წრეები, რომლებშიც მეშახტეები და მათი ოჯახის წევრები მონაწილეობენ.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — ბოლშევიკური საქმიანობა და მომთხოვნელობა მუშაობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. კ. გ. სოხაძის საბოლოო სიტყვა.

საერთო სათაურით „პირველი მაისის დღესასწაულის შესახვედრად“ წერილები: გ. გოგიჩაშვილი — ჰექტარიდან 200 ცენტნერი ხილისათვის. შ. ზაქარიაძე — ჩაის ფოთლის კრეფის წინ. ახალგაზრდა მუშების წარმატებანი. მაგნიტოგორსკელთა მაგალითისამებრ.

საკავშირო ინფორმაციები. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — უმნიშვნელოვანესი პარტიული საქმე (მკითხველთა წერილების მიხედვით). საქართველოს კ. პ. (ბ). ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

ლ. მუშლაძე — საქალაქო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი.

დაეძლიოთ დრამატურგიის ჩამორჩენა („პრავდა“).

მესამე გვერდი — საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

მკითხველთა წერილები — ბ. ფიშერი—შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის გადაუდებელი საჭიროებანი.

დაეძლიოთ დრამატურგიის ჩამორჩენა (გაგრძელება).

მეოთხე გვერდი — დაეძლიოთ დრამატურგიის ჩამორჩენა (დასასრული).

უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

13 აპრილს

06.25 — კონცერტი ტულიკოვისა და ლიადოვის ნაწარმოებებიდან; 07.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 09.20 — პოპულარული მუსიკის კონცერტი; 11.10 — კამერული მუსიკის კონცერტი; 11.30 — პიონერთა დაფიონის საკვირაო გამოშვება; 12.15 — კონცერტი დები იშხნელების შესრულებით; 16.00 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 62; 16.45 — ნეაპოლური სიმღერები; 17.20 — კონცერტი; 17.45—ქართული ხალხური ზღაპრის „ბადრი, უსუბი, ამირანის“ რადიოინსცენირება; 18.45 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 20.30 — საუბარი: „გლეხთა გადატაკება კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში“; 20.45 — კონცერტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მერი ნაკაშიძის შესრულებით; 21.00 — საუბარი: „ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკი“; 21.30 — რუსული ხალხური სიმღერები; 22.30 — გადაცემა ციკლიდან — „მწერალი მიკროფონთან“; 22.50 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით; 00.05 — საოპერო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი (გ. გეგუჩაძის პირველი გამოსვლა მალხაზის როლში, მე-10 ან.); **რუსთაველის სახელობის** — რვალი (პრემიერა); **გრიბოედოვის სახელობის** — მგლები და ცხვრები (26-ე, 27-ე ან.); **სომხური დრამის** — მასკარადი; **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები (მე-5 ან.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—თეთრად მოჩანს აფრა ეული (9½ და 7 ს.); **თოჯინების ქართული** — მამლაყინწას თავგადასავალი (11 და 12½ ს.); **თოჯინების რუსული** — ტყის მსახიობები (12 ს.); **სანკულტურის** — ბედნიერი სპეტაკლო; **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

„ოქტომბერი“, „თბილისი“, „სპარტაკი“, — ერთგული ქვეშევრდომი; **„კომკავშირელი“** — აჯანყება უდაბნოში; **„ისანი“** — სოროჩინცის ბაზრობა; **„დიდუბე“** — მექსიკელი ქალიშვილი; **„ოქტომბერი“** — ბოლო ბიდი.

მეუღლე ოლგა, შვილები კატო, იულია, უჩა მეტრეველები, რძალი თამარ კანდელაკი, შვილიშვილები ნანა მეტრეველი, თენგი